

თავი 11

ზღვრული მოგების, დანახარჯთა – მოცულობა – მოგების ანალიზი (CVP)

1. დანახარჯი – მოცულობა – მოგების ანალიზის საფუძვლად ძირითადად გამოიყენება:
 - ა. მთლიანი მოგების მაჩვენებელი;
 - ბ. ზღვრული მოგების მაჩვენებელი;
 - გ. გეგმიური მოგების მაჩვენებელი.
2. ზღვრული მოგების რეალიზაციასთან ფარდობის კოეფიციენტის გამოთვლისას გამოიყენება შესაძლო გამოვიყენოთ შემდეგი მაცვენებლები:
 - ა. ერთეულის ზღვრული მოგება და ერთეულია სარეალიზაციო ფასი;
 - ბ. მთლიანი ზღვრული მოგება და მთლიანი ამონაგები რეალიზაციიდან;
 - გ. ა და ბ.
3. წაუგებლობის წერტილი ის წერტილია, როდესაც:
 - ა. არ წარმოიქმნება ზარალი;
 - ბ. არც მოგება წარმოიქმნება და არც ზარალი;
 - გ. არ წარმოიქმნება მოგება.
4. წაუგებლობის წერტილის გათვლა შეიძლება:
 - ა. გაყიდული ერთეულების რაოდენობით – ერთეულებში;
 - ბ. ამონაგების თანხით – ლარებში;
 - გ. ორივე მაჩვენებლით.
5. ფაქტიური რეალიზაციის დონეს გამოკლებული რეალიზაციის დონე წაუგებლობის წერტილზე, ნიშნავს:
 - ა. უსაფრთხოების შუალედს;
 - ბ. წაუგებლობის წერტილს;
 - გ. მიზნობრივ მოგებას.
6. ჩვეულებრივი წაუგებლობის გრაფიკზე ნაჩვენები არ არის:
 - ა. მთლიანი ამონაგების წრფე;
 - ბ. მუდმივი დანახარჯების წრფე;
 - გ. ცვლადი დანახარჯების წრფე.
7. ზღვრული მოგების წაუგებლობის გრაფიკზე ნაჩვენები არ არის:
 - ა. მთლიანი დანახარჯების წრფე;
 - ბ. მუდმივი დანახარჯების წრფე;
 - გ. ცვლადი დანახარჯების წრფე.

8. კომპანია იყენებს დანახარჯთა ზღვრული კალკულაციის სისტემას. მომავალი წლის ცვლადი დანახარჯი, მოსალოდნელია, იქნება გაყიდვებიდან ამონაგების 60%, ხოლო მუდმივი დანახარჯი კი გაყიდვებიდან ამონაგების – 10%. თუ კომპანია თავის სარეალიზაციო ფასს გაზრდის 10% -ით, მაგრამ მუდმივი დანახარჯი, ცვლადი დანახარჯი და რეალიზაციის მოცულობა არ შეიცვლება, მაშინ ზღვრული მოგება:

- ა. დაიკლებს 2% – ით;
- ბ. მოიმატებს 10% – ით;
- გ. მოიმატებს 25% – ით;
- დ. მოიმატებს 66.67% – ით.

9. თუ კომპანიის როგორც გასაყიდი ფასი, ასევე ერთეულზე ცვლადი დანახარჯი გაიზრდება 10% – ით, მაშინ წაუგებლობის დონე:

- ა. არ შეიცვლება;
- ბ. გაიზრდება;
- გ. დაიკლებს;
- დ. ამის დადგენა შეუძლება დამატებითი ინფორმაციის გარეშე.

ამოცანა 1.

შემდეგი მონაცემები ეხება მაღაზიას, რომელიც წლიურად ყიდის 25 000 წყვილ ფეხსაცმელს.

წყვილი ფეხსაცმლის სარეალიზაციო ფასი	40 ლარი.
წყვილი ფეხსაცმლის შესყიდვის ფასი	25 ლარი.

მთლიანი წლიური მუდმივი დანახარჯი	ლარი
ხელფასები	100 000
რეკლამა	40 000
სხვა მუდმივი დანახარჯი	100 000

გაიანგარიშეთ:

1. რა იქნება ზღვრული მოგება წყვილი ფეხსაცმლისათვის:

2. რისი ტოლია წყვილი ფეხსაცმლის წაუგებლობის მოცულობა:

3. რისი ტოლია უსაფრთხოების შუალედი:

ამოცანა 2.

კომპანია ალფა პროდუქციის ერთეულს ყიდის 40 ლარად. მუდმივი დანახარჯი არის 48'000 ლარი, ხოლო ცვლადი დანახარჯი შეადგენს შემოსავლის 80%-ს.

გაიანგარიშეთ:

რამდენი ერთეულით გაიზრდება წაუგებლობის დონე, თუ მუდმივი დანახარჯი გაიზრდება 8'000 ლარით:

ამოცანა 3.

ალფა აწარმოებს და ყიდის ერთი სახის პროდუქციას, რომლის სარეალიზაციო ფასი არის 26 ლარი, ძირითადი დანახარჯი არის 10 ლარი, ხოლო ზედნადები დანახარჯის (ყველა მუდმივი) შთანთქმა ხდება ძირითად დანახარჯთა 50%-ით. მუდმივი ზედნადები დანახარჯი არის 50 000 ლარი.

გაიანგარიშეთ:

რისი ტოლია წაუგებლობის მოცულობა:

ამოცანა 4.

აღფა აწარმოებს ერთი სახის პროდუქციას და ყიდის მას 10 ლარად. თვის მუდმივი დანახარჯი არის 48'000 ლარი და პროდუქციის ზღვრული მოცუბის ამონაგებთან ფარდობის კოეფიციენტი არის 40%. პერიოდის განმავლობასი ფაქტობრივი ამონაგები იყო 140'000 ლარი.

გაიანგარიშეთ:

უსაფროთხოების შუალედი:

ამოცანა 5.

აღფა აწარმოებს და ყიდის ორი სახის პროდუქციას ა და ბ –ს. მოსალოდნელია, რომ წლიური რეალიზაცია მოხდება შემდეგი პროპორციით ა: 1, ბ: 3. მთლიანი წლიური რეალიზაცია დაგეგმილია 420 000 ლარის ოდენობით ა პროდუქციის ზღვრული მოცუბის ნორმა ამონაგებში არის 40 % -ის ტოლი, ხოლო ბ –სთვის კი 50 %, წლიური მუდმივი დანახარჯი გაანგარიშებით იქნება - 120 000.

გაიანგარიშეთ:

წაუგებლობის წერტილი (ამონაგებით გამოხატული)

ამოცანა 6.

აღფა აწარმოებს სხვადასხვა სახის პროდუქციას და მომგებიანობის უზრუნველყოფის და მინიმალური წარმოების დონის დასადგენად იყენებს CVP ანალიზს.

50000 ლარი მუდმივი დანახარჯი განაწილდა პროდუქტზე, მაგრამ მოსალოდნელია, რომ გაიზრდება 100000 ლარამდე, თუ წარმოების მოცულობა გადააჭარბებს 30000 ერთეულს, რადგან დამატებითი პროდუქციის საწარმოებლად საჭირო გახდა ახალი ქარხნის დაქირავება. ერთეულზე ცვლადი დანახარჯი არის უცვლელი და 5 ლარის ტოლი. ამ პროდუქტიდან შემოსავალი არის 7.50 ლარი ერთეულზე.

მოგეთხოვებათ:

- 1) დაადგინოთ მთლიანი დანახარჯის განტოლება:
 - ა) თუ წარმოება 30000 ერთეულზე ნაკლებია;
 - ბ) 30000 ერთეულზე მეტია.
- 2) ააგოთ წაუგებლობის გრაფიკი და ასახოთ წაუგებლობის წერტილი ან წერტილები;
- 3) განიხილოთ ბ-ში მიღებული შედეგების მნიშვნელობა აღფას გეგმებთან მიმართებაში.